# ხელშეკრულება №0300/10/292
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## (კონსოლიდირებული ტენდერი №CON160000046)

ქ. თბილისი 21. 10. 2016 წ.

ერთი მხრივ **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“,** (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2) წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის ბესიკ ჩიხლაძის სახით, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2016 წლის 27 სექტემბრის №205 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ **შპს „თეგეტა მოტორსი“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ., №5) წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) - (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა, **მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების ზამთრის სეზონის საბურავების (თანხმლები მომსახურებით) 2016-2017 წლების კონსოლიდირებული ტენდერის** სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.
- „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- „სატენდერო კომისია“ - „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.
- „ფორსმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

### 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები,** რომლებიც აკმაყოფილებს 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის **(CON160000046)** სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

1.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 34300000; 34351000; 34351100.

1.3 მისაწოდებელი საქონლის დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| № | საქონლის დასახელება, ავტომობილის მარკა, მოდელი, ტიპი (გამოშვების წელი) | საბურავის ბრენდი და მოდელი | საბურავის წარმოშობის ქვეყანა | საქონლის ტექნიკური პარამეტრები | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით ლარი) | საერთო ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საბურავი ა/მ Hyundai Sonata -სედანი (2014 წ.) | HAIDA –HD617 | ჩინეთი | კარკასის კონსტრუქცია - R; დისკის ზომა - R18; საბურავის ზომა - 225/45 | ცალი | 4 | 88.00 | 352.00 |

1.4 შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარემო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **352 (სამას ორმოცდათორმეტი)** ლარს (დღგ –ის ჩათვლით).

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახდელებს, დღგ-ის ჩათვლით.

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ბესიკ ჩიხლაძე
ფინანსური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება №0300/10 1292
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON160000046)

ქ. თბილისი 21. 10. 2016 წ.

### 3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 2016 წლის 15 დეკემბრისა.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, მექანიზაციის ჩიხი №1.
3.3. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

### 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
4.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: მატერიალურ ფასეულობათა მართვის სამსახურის თანამშრომელი, სატრანსპორტო-სამეურნეო სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).
4.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
4.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;
4.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
4.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

### 5. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

5.1 მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და საგარანტიო (საექსპლუატაციო) ვადის ამოწურვამდე არ უნდა განიცადოს დეფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით.
5.2 საბურავებზე მითითებული უნდა იყოს სეზონის შესაბამისი მარკირება.
5.3 საბურავების საექსპლუატაციო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50'000 კილომეტრის გარბენის რესურსს. სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში მინიმუმ 50'000 კილომეტრ გარბენზე, საბურავმა არ უნდა მიიღოს დეფორმაცია, ნორმების დაცვით ექსპლუატაციისას საბურავის სამუხრუჭე მანძილი არ უნდა იწვევდეს საფრთხის შექმნას მგზავრებისათვის და საბურავმა არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტები, რომლებიც ხელს შეუშლის ტრანსპორტის ნორმალურ ექსპლუატაციას ან საფრთხეს შეუქმნის მგზავრების უსაფრთხოებას.
5.4 გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:
ა) მექანიკური დაზიანება;
ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/“დაბუქსავება“);
გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;
დ) ბორდიურზე მიჯახება;
ე) ჩარტყმა.
5.5 მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, წუნის ან სხვა დეფექტის მქონე საბურავის შეცვლა ახალი იდენტური პარამეტრების მქონე საბურავით საკუთარი სახსრებით.
5.6 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.7 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული საქონლის მიღებაზე.

### 6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.
6.4 საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.
6.5 საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

### 7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ბესიკ ჩიხლაძე
ფინანსური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება №0300/10/292
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON160000046)

ქ. თბილისი 21. 10. 2016 წ.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე, შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

8.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა)განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ)მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

10.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

10.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

10.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

10.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ბესიკ ჩიხლაძე
ფინანსური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება №0300/10 /292
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON160000046)

ქ. თბილისი 22. 10. 2016 წ.

10.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

10.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

10.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

11.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ მიმწოდებელმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე უნდა გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%.

11.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

11.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და აშ.

12.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

12.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.5 ხელშეკრულების 12.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

## 13. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ზესიკ ჩიხლაძე
ფინანსური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „თეგეტა მოტორსი"

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება №0300/10/292
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON160000046)

ქ. თბილისი 21.10. 2016 წ.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, (გარდა ამ ხელშეკრულების მე-5 პუნქტისა).

15.2 ხელშეკრულების მე-5 პუნქტი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

## 16.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**„შემსყიდველი“**
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22

**„მიმწოდებელი“**
შპს „თეგეტა მოტორსი“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202177205
იურიდ. მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ., №5
ტელ: (995 32) 2 24 44 44.
- სს თიბისი ბანკი
ა/ა GE80TB0600000024467853; ბანკის კოდი: TBCBGE22

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ბესიკ ჩიხლაძე
ფინანსური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი